სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს (202161098) მიერ სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოსაწყობი წამახალისებელი გათამაშება

1. სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" (შემდგომში: ვისოლი)

   1.1. ვისოლი ახორციელებს საავტომობილო საწვავის იმპორტს და საბითუმო/საცალო რეალიზაციას, ასევე მომხმარებელს სთავაზობს დამატებით სერვისებს.

2. თამაშობის ზოგადი წესი (გათამაშების მიზეზი, მიზანი)

   2.1. ვისოლი რებრენდინგის დაწყებასა და ლოიალობის ახალი სისტემის დანერგვასთან ერთად, მისი გამოყენებისა და გაყიდვების წახალისების მიზნით აწყობს გათამაშებას.

   2.2. დამატებით კომპანიის თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, თანამშრომლების მიერ ლოიალობის სისტემის გავრცელების წახალისებისათვის და მათი ლოიალობის ასამაღლებლად, ასევე თანამშრომელთა წახალისებისათვის რომ მეტ მომხმარებელს უკეთ მოემსახურონ და შესაძლებლობის ფარგლებში გაზარდონ გაყიდვები, გამარჯვებულ მომხმარებელთან ერთად დასაჩუქრდებიან ვისოლის თანამშრომელბიც იმავე პრიზით რასაც იგებს მომხმარებელი.

3. ლოიალობის სისტემის („ვისოლქარდის" და შესაბამისი მობილური აპლიკაციის) აღწერა

   3.1. ვისოლმა 2023 წლიდან დანერგა ახალი ლოიალობის სისტემა, რომლის ძირითადი კომპონენტი წარმოდგენილია მობილური აპლიკაციის სახით და რომელიც მომხმარებელს აძლევს საშუალებას მიიღოს ფასდაკლება, ქულები და საჩუქრები. აღნიშნულ ლოიალობის პროგრამაში ჩართულნი არიან პარტნიორი კომპანიებიც, თუმცა გათამაშება ეწყობა მხოლოდ ვისოლის მიერ და მხოლოდ მის (საკუთარ და იჯარით აღებულ) ობიექტებზე.

   3.2. ლოიალობის სისტემაში ცალ-ცალკე ტრანზაქციად ტარდება თითოეული მომხმარებლის მიერ ვისოლში განხორციელებული შენაძენი და აღნიშნულ გატარებას ასევე მითითებული აქვს პროდუქტი, ფასი, ფასდაკლება, ტრანზაქციის უნიკალური ნომერი, დაგროვილი ქულა, მიღებული საჩუქარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა დეტალური ინფორმაცია. ლოიალობის სისტემაში ასევე ფიქსირდება ის ავტოგასამართი სადგური, რომელზეც განხორციელდა ტრანზაქცია, უშუალოდ ავტოგასამართ სადგურზე კი თოთოეული ტრანზაქციის შესაბამისი ოპერატორის ნომერია დაფიქსირებული.

   3.3. გათამაშებისათვის აპლიკაციას ცალკე დაემატება შემთხვევითი რიცხვების გენერატორი.

   3.4. ლოიალობის სისტემაში მომხმარებლის რეგისტრაცია შესაძლებელია ნებისმიერი ფიზიკური პირისათვის. რეგისტრაცია ხდება მობილური აპლიკაციის ან ვისოლის ქოლ ცენტრის საშუალებით და თითოეული მომხმარებელი ლოიალობის სისტემის გასააქტიურებლად უთითებს პირად ნომერს, სახელსა და გვარს, დაბადების თარიღს და მობილური ტელეფონის ნომერს. აღნიშნული მონაცემების მითითებისთანავე მომხმარებელს ლოიალობის სისტემაში ენიჭება 9 ციფრა უნიკალური ნომერი (და შესაბამისი QR კოდი). მომხმარებელს დამატებით შეუძლია ფიზიკური პლასტიკური ბარათის აღებაც.

   3.5. ლოიალობის სისტემაში ჩართული საწვავის მომხმარებლების გარდა, გათამაშებაში მონაწილეობენ ასევე ვისოლის თანამშრომლები, რომლებიც იგებენ ზუსტად იმავე

ღირებულების პრიზს რა პრიზსაც იგებს მომხმარებელი, რომელსაც ისინი მოემსახურენ. ასეთი თანამშრომლების მომგებიანობის იდენტიფიკაცია დამოკიდებულია მომხმარებლის ლოიალობის სისტემის ტრანზაქციის ნომრის მომგებიანობაზე, თუმცა თანამშრომლის იდენტიფიკაცია ხდება ვისოლის ცალკემდგომი პროგრამით, სადაც მითითებულია ყოველი თანამშრომლის პირადი ნომერი და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი). აღნიშნული თანამშრომლები ცალკე რეგისტრაციას არ გადიან და შრომით ურთიერთობაში ვისოლთან შესვლისთანავე ითვლებიან რეგისტრირებულად იმავე მონაცემებით. თითოეულ ასეთ ოპერატორს გარდა შრომით ბაზაში რეგისტრაციისა ენიჭება ავტოგასამართ სადგურზე უნიკალური ნომერი („ოპერატორის ნომერი“), რომელსაც იგი იყენებს ჩასხმის განხორციელებისათვის.

4. პროდუქციის (მომსახურების) ჩამონათვალი,

   4.1. თამაშდება შემდეგი პრიზები:

	რ-ბა მომხმარებლის	**რ-ბა ოპერატორს**	**ჯამური რაოდენობა**
ავტომობილები - BMW X1 xDrive20d	3	3	6
მობილური ტელეფონები - iPhone 16 Pro 128 GB	18	18	36
ვაუჩერი - ლილატ სასტუმრო სვანეთი	4	4	8
ვაუჩერი - სასტუმრო Rooms ბათუმი	4	4	8
ვაუჩერი - სასტუმრო Rooms ყაზბეგი	4	4	8
ვაუჩერი - სასტუმრო Rooms კოხტა	4	4	8
ვაუჩერი - სასტუმრო Radissson Collection წინანდალი	4	4	8
პარიზის საგზური (2 პერსონაზე, 3 ღამე) (საგზური გადაეცემა მომხმარებელს ხოლო ვისოლის თანამშრომელს გადაეცემა საგზურის ოდენობის თანხა)	1	1	2
ბარსელონას საგზური (2 პერსონაზე, 3 ღამე) (საგზური გადაეცემა მომხმარებელს ხოლო ვისოლის თანამშრომელს გადაეცემა საგზურის ოდენობის თანხა)	1	1	2
რომის საგზური (2 პერსონაზე, 3 ღამე) (საგზური გადაეცემა მომხმარებელს ხოლო ვისოლის თანამშრომელს გადაეცემა საგზურის ოდენობის თანხა)	1	1	2
ბუდაპეშტის საგზური (2 პერსონაზე, 3 ღამე) (საგზური გადაეცემა მომხმარებელს ხოლო ვისოლის თანამშრომელს გადაეცემა საგზურის ოდენობის თანხა)	1	1	2
პრაღის საგზური (2 პერსონაზე, 3 ღამე) (საგზური გადაეცემა მომხმარებელს ხოლო ვისოლის თანამშრომელს გადაეცემა საგზურის ოდენობის თანხა)	1	1	2
ვისოლის ლოიალობის ქულა 500 (ქულა გადაეცემა მომხმარებელს ხოლო ვისოლის თანამშრომელს გადაეცემა ქულის ოდენობის თანხა)	25	25	50

ვისოლის ლოიალობის ქულა 200 (ქულა გადაეცემა მომხმარებელს ხოლო ვისოლის თანამშრომელს გადაეცემა ქულის ოდენობის თანხა)	50	50	100
ვისოლის ლოიალობის ქულა 100 (ქულა გადაეცემა მომხმარებელს ხოლო ვისოლის თანამშრომელს გადაეცემა ქულის ოდენობის თანხა)	150	150	300
ვისოლის ლოიალობის ქულა 50 (ქულა გადაეცემა მომხმარებელს ხოლო ვისოლის თანამშრომელს გადაეცემა ქულის ოდენობის თანხა)	250	250	500
სულ ჯამი	**521**	**521**	**1042**

* ვისოლის ლოიალობის აპლიკაციის ქულების გათამაშებისას მომხმარებელი იღებს ლოიალობის ქულებს, ხოლო ვისოლის თანამშრომელი ოპერატორი/ინსტრუქტორი მიიღებს შესაბამის ფულად თანხას; ანალოგიურად ევროპის საგზურების გათამაშებისას მომხმარებელი იღებს საგზურის ვაუჩერს, ხოლო ვისოლის თანამშრომელი ოპერატორი/ინსტრუქტორი შესაბამის ფულად თანხას;

აღნიშნული პრიზების ნახევარი თამაშდება ვისოლის მომხმარებლებში, ხოლო მეორე ნახევარს იგებს ვისოლის თანამშრომელი - ჩამსხმელი ოპერატორი/ინსტრუქტორი, კერძოდ ოპერატორი/ინსტრუქტორი მიიღებს ზუსტად იგივე პრიზს (გარდა ვისოლის ლოიალობის სისტემაში არსებული ქულებისა და ევროპის საგზურებისა, რომელთა სანაცვლოდაც ვისოლის თანამშრომელი მიიღებს ფულად პრიზს) რაც მოიგო მომხმარებელმა რომელსაც იგი მოემსახურა. ამასთან თვითმომსახურების სადგურებზე (სადაც მომხმარებელი უშუალოდ ახდენს ავტომობილის საწვავით გამართვას და ვისოლის თანამშრომელი შეიძლება მას დაეხმაროს მხოლოდ ინსტრუქტაჟით, თუ როგორ გამოიყენოს ჩამსხმელი აპარატურა) პრიზს ოპერატორის ნაცვლად იგებს ინსტრუქტორი, რომელიც ვისოლის აღნიშნულ თვითმომსახურების სადგურზე ტრანზაქციის მომენტში მორიგეობდა.[1]

5. პროდუქციის (მომსახურების) აღწერა და გათამაშებაში მონაწილეობის აუცილებელი პირობა), რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს;

   5.1. გათამაშებაში მონაწილეობას იღებს ნებისმიერი მომხმარებელი, რომელიც ვისოლის ლოიალობის ელექტრონული სისტემის გატარების პარალელურად, ვისოლის (საკუთრებაში არსებულ და იჯარით აღებულ) ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე შეიძენს 50 ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ან მეტი ღირებულების ნებისმიერი ტიპის საწვავს (მხოლოდ ბენზინი ან დიზელი).

   5.2. გათამაშებაში ასევე მონაწილეობას იღებს ვისოლის ის თანამშრომელი რომელიც მოემსახურა ზედა პუნქტში მითითებულ მომხმარებელს (კერძოდ ჩვეულებრივ სადგურზე ჩამსხმელი ოპერატორი, თვითმომსახურების სადგურზე კი ინსტრუქტორი).

6. მომგებიანი თამაშობის ჩატარების ვადა და ადგილი;

   6.1. გათამაშების პერიოდია: 2025 წლის 1 მაისიდან 2025 წლის 4 ივლისის ჩათვლით

   6.2. გათამაშება არის მომენტალური და გამარჯვების შესახებ მომხმარებელი და ვისოლის თანამშრომელი (ოპერატორი/ინსტრუქტორი) გაიგებს საწვავის შეძენისას ლოიალობის სისტემაში დაფიქსირებული ტრანზაქციისთანავე. მომხმარებელს

[1] რაც შეეხება ავტოგასამართ სადგურზე სადაც ოპერატორის ფუნქცია გაყოფილია და ანგარიშროწებაზე პასუხისმგებელია ერთი ოპერატორი, ავტომობილის გამართვაზე კი მეორე, გამარჯვებული იქნება ის ოპერატორი რომელიც უშუალოდ ავტომობილში საწვავის გამართვაზეა პასუხისმგებელი.

გამარჯვების შესახებ ლოიალობის პროგრამაში დაფიქსირებულ მობილურის ნომერზე მიუვა მოკლე ტექსტური შეტყობინება, ვისოლის ლოიალობის აპლიკაციაში შესვლისას კი დაინახავს მოგებული პრიზის დეტალებს.

6.3. გათამაშება ტარდება ვისოლის (საკუთრებაში არსებულ და იჯარით აღებულ) ბრენდირებულ ყველა ავტოგასამართ სადგურზე (50 ლარის ან მეტი ღირებულების) საწვავის შეძენისას, ხოლო გამარჯვებულების გამოვლენა ხდება ელექტრონული ფორმით.

7. გამარჯვებულების გამოვლენის პროცედურა

7.1. გათამაშებაში მონაწილეთა რაოდენობის მაქსიმალური ოდენობა შეზღუდული არ არის.

7.2. გათამაშებაში გამარჯვებულის გამოსავლენად კომპანია იყენებს ვისოლის ლოიალობის ელექტრონულ სისტემაში არსებულ ტრანზაქციის უნიკალურ ნომერს, რომელიც საწვავის შეძენის თითოეული ტრანზაქციისთვის არის უნიკალური. ლოიალობის სისტემის ტრანზაქციებიდან გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს ისეთი ტრანზაქციების ნომრები, რომლებიც აკმაყოფილებენ წინამდებარე რეგლამენტის მე-5 პუნქტში მითითებულ კრიტერიუმებს (ვისოლის ბრენდირებულ სადგურზე 50 ლარის ან მეტი ღირებულების ბენზინის ან დიზელის შეძენა ლოიალობის სისტემის გამოყენებით). გათამაშების პროგრამა, რომელიც ინტეგრირებული იქნება ვისოლის ლოიალობის ელექტრონულ სისტემასთან, შემთხვევითობის პრინციპით განსაზღვრავს, მომგებიანი ტრანზაქციების რიგით ნომრებს, ასევე პრიზებს, რომელის საფუძველზეც იდენტიფიცირებული იქნება ტრანზაქციის განმახორციელებელ გამარჯვებულ მომხმარებელი და ვისოლის თანამშრომელი (ოპერატორი/ინსტრუქტორი)

7.3. გამარჯვებული მომხმარებლის ტრანზაქციის ნომერი და ვისოლის თანამშრომლის (ოპერატორის/ინსტრუქტორის) ნომერი შედგება მაიდენტიფიცერებელი სიმბოლოსგან (ოპერატორის შემთხვევაში „O-“ და თვითმომსახურების სადგურზე ინსტრუქტორის შემთხვევაში “I-”), შესაბამისად თითოეული გამარჯვებულის ნომერს ავტომატურად აქვს შესაბამისი ნომერი. მაგალითად: თუ გამარჯვებული მომხმარებლის ტრანზაქციის ნომერი არის 123, შესაბამისი ნომერი ოპერატორის შემთხვევაში იქნება O-123, ხოლო ინსტრუქტორის შემთხვევაში I-123.

8. მომგებიანი თამაშობის მოგების გაცემის პირობა, ადგილი, თარიღი და ზღვრული ვადა.

8.1. მოგების გადაცემისათვის აუცილებელია გამარჯვებულებმა (მომხმარებელი, ვისოლის თანამშრომელი (ოპერატორი/ინსტრუქტორი)) წარადგინონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც უნდა იყოს ვალიდური. საჩუქრის მისაღებად ასევე აუცილებელია, რომ გამარჯვებულების პირადი ნომერები ემთხვეოდეს ვისოლის ლოიალობის პროგრამაში და ვისოლის თანამშრომელთა რეგისტრაციის შრომით ბაზაში მითითებული პირად ნომერებს და მომგებიანი ტრანზაქცია (საწვავის ჩასხმა) შესრულებული იყოს უშუალოდ ლოიალობის პროგრამაში რეგისტრირებული პირის მიერ.

8.2. მოგების გადაცემის ადგილი (გარდა ქულებისა და ფულადი პრიზებისა) არის ვისოლის სათაო ოფისი, მდებარე: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #74ბ, ან მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში ვისოლის კონკრეტული ავტოგასამართი სადგური ან სერვის ცენტრი. ქულების შემთხვევაში მოგების გადაცემა ხდება ელექტრონულად, ქულების ვისოლის ლოიალობის სისტემაში დარიცხვით (ვისოლის

თანამშრომელის შემთხვევაში ქულებისა და ევროპის საგზურის ნაცვლად თანამშრომელი მიიღებს ფულად თანხას მის სახელფასო ანგარიშზე ჩარიცხვით).

8.3. გადაცემის თარიღი და ზღვრული ვადა:

8.3.1. მოგების გაცემის საერთო ვადა განისაზღვრება გათამაშებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. მოგება გაიცემა გამარჯვებული პირის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 6 დღის ვადისა. მოგების გაცემა ხდება ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10 საათიდან 18 საათამდე შუალედში.

9. პრეტენზიის განხილვის ვადა და წესი

9.1. პრეტენზიის დაფიქსირებისათვის დაინტერესებულმა პირმა პრეტენზიის საფუძველის გამოვლენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადისა წერილობით უნდა მიმართოს ვისოლში შექმნილ წამახალისებელი გათამაშების კომისიას მისამართზე თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 74ბ, რომელიც ვალდებულია განიხილოს წარდგენილი პრეტენზია და დაუბრუნოს განმცხადებელს არგუმენტირებული პასუხი არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადისა.

9.2. პრეტენზიის მიღების საბოლოო ვადაა 2025 წლის 15 აგვისტო.

10. საპრიზო ფონდი,

10.1. საპრიზო ფონდი მოცემულია 4.1 პუნქტში

11. გამარჯვებულის შერჩევის პრინციპი

11.1. მომენტალური გათამაშების ლოგიკა დაფუძნებული იქნება ალბათობის პრინციპზე, კერძოდ: თითოეული ტრანზაქცია, რომელიც გატარდება ვისოლის ლოიალობის სისტემით (ვისოლის ბრენდირებულ სადგურზე ლოიალობის სისტემის გამოყენებით 50 ლარი ან მეტი ღირებულების საწვავის შეძენისათვის), გადამოწმდება მომგებიანობაზე შემთხვევითი რიცხვების გენერატორის საშუალებით, რომლისთვისაც მომგებიანობის ალბათობის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი განისაზღვრება ტრანზაქციების სტატისტიკური რაოდენობასა და გასათამაშებელი პრიზების რაოდენობაზე დაყრდნობით.

12. მომგებიანობის შეტყობინება

12.1. მომგებიანობის შესახებ ოფიციალური ცხრილი გამოქვეყნდება ვისოლის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე გათამაშების დასრულებიდან 3 დღის განმავლობაში